№ 170 აგვისტო 9, ხუთშაბათი 1890 აგვისტო 9, ხუთშაბათი № 170


| გაზეთი ღირს | | | | |
|---|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 9 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ტფილისში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წიგნ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ერვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


ქვრივი ანნა იოსების ასული ბაქრაძისა შეილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 10 აგვისტოს, დილის ათს საათზედ, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი მისის განსვენებულის მეუღლის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის მოსახსენებლად. (2—1)

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ანონსი

ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოვა სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ხუთის წარმოდგენის გასამართავად გამოჩენილ მალოროსიულ და რუსულ ღილიპუტების დასი—ჯუჯა და კონდრის კაცებისა. (3—3)

ტფილისი, 8 აგვისტო

ჩვენ წინა მეთაურ წერილიდამ*) ენახეთ რა ცუდ-უბრალო წრიპინი ასტყდა კალმებისა ქუთაისის ბანკის უკანასკნელ საქმისა გამო იმათ შორის, ვინც მახლობელნი გამგებელნი არიან ბანკისა და ვინც, მაშასადამე, საზოგადოებისაგან მინდობილ საქმეს უნდა აკეთებდნენ და არა კალმებს აწრიპინებდნენ საჩხირ-კედელაოდ. ყოველივე ეს რომ ცხრილში გავატაროთ, დავანიავოთ, ჩალა-ჩულა ნიავს გავატანოთ და დასარჩენი დავანარჩუნოთ, რა ურთული, რა სადა და მარტივი საგანი დაგვიდგება თვალ-წინ განსაკითხად. ოღონდ-კი სურვილი ყოფილიყო საქმე ისე დაენახათ, როგორც არის და არა ცდილიყვნენ ბანზე სიტყვის აგდებას. საქმე მთელის მისის სიგძე სიგანით ადამიანის ხელის გულზე დაეტევა და ხელის გულსავით ცხადი და აშკარაა.

ზედამხედველმა კამიტეტმა მოითხოვა რწმუნების წერილები, რომელნიც წლევანდელ კრებაში წარდგენილ იყვნენ და რომელნიც როგორღაც ხელთ ჩავარდნია ახალს თავმჯდომარეს გამგეობისას, და ბ-ნი თავმჯდომარე არამც თუ ამ წერილებს, წევრთა სიებსაც-კი აღარ ანებებს ჯერ თითქმის მთელის გამგეობის სახელითა და მერე თავის საკუთარით. აი ავი და კარგი ამ საქმისა, აი დედა-გული მისი რაშია. ერთი გვიბძანეთ, აქ რა დიდი ლარი და ხაზი-ღა უნდოდა, რა გაბმა-გამობმა, რა ღობე ყორეს მოდება, რა ბანზე სიტყვის აგდება და გაძვრენ-გამოძვრენა. აქ ერთის მხრით კანონიერი ქცევაა, მეორეს მხრით ყოვლად უკანონო და არას გზით არ შესაწყნარებელი ურჩობა.

აქ თუ საკითხავია რამ, მარტო ისა, რომ აქვს თუ არა ზედამხედველს კამიტეტს ნება და უფლება რაიმე სიგელი ბანკისა საერთოდ და რწმუნების წერილები საკუთრივ მოითხოვოს ერთის მხრით და მეორეს მხრით ჯერ გამგეობას ერთად და მერე მის თავმჯდომარეს ცალკე კანონი და საბუთი რამ მიუძღოდა, რომ გაუჯიუტდა და მოთხოვნილი არ დაანება? გამგეობა ერთად და მისი თავმჯდომარე ცალკე მოვალენი არიან ყოველივე კანონიერი განაჩენი ზედამხედველ კამიტეტისა ხმა-ამოუღებლივ აასრულონ, თუ არა ჰსურთ პასუხის-გებაში მიეცნენ. ამას აშკარად ამბობს § 75 წესდებისა. რომ ზედამხედველს კამიტეტს არამც თუ აქვს უფლება, მოვალეობა ადევს წესიერად სვლას ბანკისას დღე-და-ღამ თვალ-ყურს ადევნებდეს, მის სარგებლობას ჰზრუნავდეს, წესდების აღსრულებას სცდილობდეს და თუ ავი რამ შეამცნია, ჯეროვანი ღონისძიება იხმაროს ამ ავის ასაცილებლად, ეს აშკარადა სჩანს § 78 ს მეთექვსმეტე მუხლიდამ.

მაშ როგორ და რა გზით შეასრულებს კამიტეტი ამ დიდს მოვალეობას, თუ ბანკის ქაღალდების გასინჯვის ნება არა ჰქონდეს? ზედამხედველმა კამიტეტმა დაინახა,—აქ სულ ერთია სხვამ დაანახვა, თუ თვითონ თავისით დაინახა—რომ წლევანდელ კრებაში უწესოება იყო; რომ ჯეროვანი რწმუნების წერილები არ იყვნენ წარმოდგენილნი, და მოიწადინა ამ რწმუნების წერილების გადახილვა, ვსთქვათ, თუნდ იმ აზრით, რომ აღმოაჩინოს ავ-კარგიანობა ვექილობისა,—ნუ თუ ვინმე იტყვის, რომ ამისი უფლება არა აქვს კამიტეტს, ესე იგი, იმ კრებულს, რომელსაც კანონი ვალად სდებს თვალ-ყური ადევნოს წესდების აღსრულებას და თუ ბოროტ-მოქმედებაა რამ, მიიღოს შესაფერი ღონისძიება ამ ბოროტ მოქმედების განსაძევად. ნუ თუ შესაძლებელია აქ ორი სხვა-და-სხვა ნაირი აზრი კაცმა იქონიოს, თუ განგებ კაცი გონების თვალს არ დაიხშავს! ნუ თუ შესაძლებელია,—რომელსამე წევრმა ზედამხედველ კამიტეტისამ ამ უეჭველის უფლების შებღალვა არ ითაკილოს, ყური მოიყრუოს, თვალი დაიხუჭოს ამისთანა საქციელზე, რომელიც ერთის მხრით სრულად აუქმებს ზედამხედველობას კამიტეტისას და მეორეს მხრით აბატონებს თვით-ნებობას, ურჩობას, უჯათობას გამგეობისას, თუ მის თავმჯდომარისას.

იმის მაგიერ, რომ ჯეროვანის გულის წყრომით თავი გამოიდოს ამ შებღალულ უფლების აღსადგენად, ამ თავდაუჯერელ თვით-ნებობის განსადევნად, კამიტეტის რომელმამე წევრმა განა რაღაც ფარატინები უნდა სწეროს სიტყვის ბანზე ასაგდებად? მაშ რა არის, თუ სიტყვის ბანზე აგდება არა, ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრის, 11 ივნისის განაჩენზე*) ზედ-მიწერილი? აქ საკითხი ის იყო, გამგეობა, თუ თავმჯდომარე მისი ეურჩება ჩვენს კანონიერს განაჩენსა და რა უნდა ვქნათო,—ეს ორი წევრი-კი მოჰყოლია და იძახის: ჯერ გადავსწყვიტოთ ნება გვაქვს, თუ არა საზოგადო კრების განაჩენები განვიკითხოთ და გავაუქმოთ და თუ მაინც და მაინც არ იშლით წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვას, მაშ საჭიროა წინანდელი წერილებიც და მთელი საქმეები ბანკისა დასაწყისიდამ დღევანდლამდე სულ ერთიანად გადავსინჯოთო. ძალიან კარგი, რატომ არა, მაგრამ ერთი მეორეს რას უშლის? ახლა გამგეობას, თუ მის თავმჯდომარეს, რომ ეს ამოდენა საქმეები კვლავაც არ დაენებებინა, ნეტა მაშინ რაღას იტყოდნენ ეს ორი ცალკე აზრის წევრნი? ეს ამბავი ამ ნაირ გამგეობისაგან, ამისთანა თავმჯდომარისაგან ხომ ადვილად მოსალოდნელია, ადვილად საგულვებელი, იმიტომ რომ მაგალითი თვალ-წინ ჰქონდათ.

ნუ დაივიწყებთ ამასაც, რომ 2 ივნისის განაჩენისაგან სჩანს, რომ ამ ორ წევრსაც სხვებთან ერთად საჭიროდ დაუნახავთ წლევანდელ რწმუნების წერილების გადახილვა და სხვებთან ერთად მოუთხოვნიათ ეს წერილები და, როცა გამგეობას ურჩობა გაუწევია და ეს წერილები არ დაუნებებია, მხოლოდ მაშინ-ღა შარსავით მაუდვიათ, რაღა მარტო წლევანდელ წერილებს გადაჰკიდებიხართ, თუ ეგრეა, მთელი საქმეები ბანკისა გადავსინჯოთ თავიდამ ბოლომდე და მასთან ერთად წინანდელი რწმუნების წერილებიცაო. ეს აქ რა მოსატანი და ჩასართავია, თუ კაცს გული გულის ადგილასა აქვს და თუ გონება სხვაგან არ უქრის. ნუ თუ უფიქრიათ,—კამიტეტი ამ შრომის სიდიდეს შეუშინდება და წლევანდელ წერილებსაც ამის შიშით თავს დაანებებსო. სხვა რა აზრი უნდა ჰქონდეს ასეთს შებრუნებას სიტყვისას, ასეთს სამატსა და ჩასართავს იქ, საცა ლაპარაკია გამგეობა არ გვანებებს წერილებსა და რა ვქნათო. უკაცრაოდ-კი ვართ და ყოველ ამაში ყველაფერია გარდა გულწრფელობისა და საქმის სიყვარულისა.

ან რა საჭირო იყო, რომ 125 კაცი მოცლილა და გამგეობისათვის უთხოვნია, არიქა, საზოგადო კრების უფლებას ემუქრებიან, ამ უფლების ჩამორთმევას ჰლამიან, და აბა თუ კაცები ხართ, თავი გამოიდეთ და საზოგადო კრების ციხე-ქალაქი გაიმაგრეთო. მერე ვინ ემუქრებოდა, ვინ ჰლამობდა, რომ, ტყუილ-უბრალოდ გარჯილა, ერთი და ორი კაცი-კი არა, მთელი ას ოც-და-ხუთი? ნუ თუ ზედამხედველი კამიტეტი, ესე იგი, ის მათ მიერვე რჩეულთა კრებული, რომელსაც, როგორც თვითონ იმათვე, ისეც მთელმა საზოგადოებამ მიანდო, თვალ-ყური გეჭიროს, რომ წესი და რიგი, საზოგადო სარგებლობა არავინ საერთოდ და გამგეობამ საკუთრივ არ მოიდნოს და ქვეშ არ ამოიდოსო? როგორ? ვის მეთვალყურეთაც დანიშნულია კამიტეტი, იმასვე ეხვეწებიან, კამიტეტისაგან დაგვიხსენიო? მერე ვინა? წევრნივე იმ კრებისანი, რომელმაც ზედამხედველი კამიტეტი ამოირჩია და დაავალა გამგეობის ავ-კარგიანობა ეხლა შენთვის ჩაგვიბარებია, შენ იცი და შენმა გონიერებამ როგორ უპატრონებ, როგორ მოუვლი, ცუდსა და ავს წინ როგორ გადეღობები და კარგს როგორ შეეწევი და წინ გაუძღვებიო.

ან სად არის აქ მუქარა რისამე? კამიტეტს ერთი სიტყვაც არ წასცდენია მასზე თუ—გაუქმება საზოგადო კრების განაჩენებისა ჰსურს. ამის მოწმად თვით კამიტეტის დანადგენები არიან. ჩვენ გვეიგეთო, ამბობს ის 125 კაცი და ბ-ნთ ლოლუას და ჯორჯიკიას ცალკე აზრიც გაუბედავად გვანიშნებს, რომ ამაზე კერძოდ ლაპარაკი ჰქონიათ კამიტეტის წევრთა. იქნება ასეც იყო, მაგრამ „გავიგეობით“ საქმის აშლა, რელაციების წერა და კერძოდ ნათქვამი აზრი ერთისა თუ მეორის წევრისა მთელის კრებულის განაჩენი ხომ არ არის და თუ არის, ეს განაჩენი გამოაქვეყნონ. არა, აქ ან ეს 125 კაცი და მათთან ერთად ბ-ნები ლოლუა და ჯორჯიკია თვალ-ხუჭუნობას ჰთამაშობენ, ან არა-და, გულთამხილაობას ჰჩემობენ და გულთ-მისნობას აჰყოლიან.

იქნება აქ მიზეზად ხელზე იხვევენ ექვსის კაცის აზრს, საცა ამათ თავის თავისათვის მეტი ნება მიუციათ და ზედამხედველ კამიტეტს ჰკუას ასწავლიან როგორ მოიქცეს და თუ ვინიცობაა მოარზეთა მიერ შენიშნული უწესოებანი გამართლდნენ, ჰთხოულობენ, რომ საზოგადო კრების განაჩენები, ჯერ სულ ერთიანად და მერე მარტო არჩევანები, გააუქმეთო. ამ ექვსის კაცის თქმა განა უსათუოდ იმას მოასწავებს, რომ კამიტეტი არც ჰილებდა, არც დაიღებდა და ამ ნათქვამს აჰყვებოდა. იტყვიან, მაშ თავის განაჩენში რად მოიხსენია კამიტეტმა იგი აზრი ექვსის კაცისაო, თუ აყოლა არ უნდოდაო?

ნუ დაივიწყებთ, რომ იმ აზრში ორი საგანია და ამ ორში ერთისათვის უსათუოდ ყური უნდა ეთხოვებინა კამიტეტს, თუ თავის მოვალეობის ღალატი არ უნდოდა. ამ აზრში ნაჩვენებია რამდენიმე უწესოება საზოგადო კრებისა და სხვათა შორის რწმუნების წერილების უვარგისობაცა. კამიტეტმაც სრულის მისდამი მონიჭებულ უფლების ძალით და თანხმად თვისის მოვალეობისა დაადგინა, რომ ყოველ ამას გამოძიება და შემოწმება უნდა და რადგანაც სხვათა შორის რწმუნების წერილებზეა ეჭვი შემოტანილი, საჭიროდ დაინახა იგინიც მოეთხოვნა. არავინ იცის, ამ გამოძიების შემდეგ რა გზას დაადგებოდა კამიტეტი. ეს-კი აშკარაა, რომ მცირეოდენ დაკვირვების შემდეგ თვითონ კამიტეტი არ გაჰბედავდა გაუქმებას კრების განაჩენებისას, იმიტომ-რომ ეს მისი საქმე არ არის, და თუ უამისოდ ბანკის საქმეთა სვლას შეუძლებელად დაინახავდა, უსათუოდ ჯეროვან გზასაც იპოვიდა და ჯეროვან ადგილსაც. განა მეტის-მეტი გულთა მხილაობა უნდა, რომ თუ საიმისო მძიმე არა ამოჩნდებოდა-რა ამ გამოძიებისა და შემოწმებისაგან, კამიტეტი მხოლოდ შეუდგებოდა იმისთანა წესი და რიგი რამ ერჩია, როცა დრო იქნებოდა, კრებისათვის, რომ სამერმისოდ მაინც გამოძიებით დანახულს უწესოებას ადგილი აღარ ჰქონოდა.

ესეა თუ ისე, ჯერ მინამ კამიტეტს საბუთი არ მოუცია კრების განაჩენების გაუქმების სურვილი შევწამოთ, მინამ ეს შეცდომა არ მოუხდენია და მარტო უწესოების გამორკვევას შესდგომია,—იმ დრომდე საქმეს წინ ვერავინ გადუხტება და ბრალს ხსენებულ სურვილისას ვერავინ დასდებს კამიტეტს. ეხლა-კი ექვსის კაცის ნათქვამს ამ გაუქმების შესახებ თავზედ ახვევენ, თითქო ეს ნათქვამი ჯადო ნაქმნარი იყოს, რომ ვერც მარჯვნივ აეხვეოდეს გზა და ვერც მარცხნივ. ამ ექვს კაცს ბევრიც სხვა რომ ეთქვა უწესო და ურიგო, კამიტეტისა რა გადასახადია? განა კამიტეტი აილებდა და ყველაფერზე, რაც ენაზე მოუვა ექვს თუ ასს კაცს, იტყოდა: „ბალი, ალაო“? ვისა აქვს ნება ეს იფიქროს და არა ის, რის თავმდებიც ადამიანის სული ჰკუაა და გონიერება!.. ამ სახით, თუ იგი აზრა საბაბად გაუხდა კამიტეტს უწესოების გამორკვევისათვის, აქედამ სრულებით ის არ გამოდის, რომ კრების განაჩენების გაუქმებისათვისაც იმ ექვსის კაცისაგან კამიტეტი ჰკუას ისესხებდა და მათ დარიგებისამებრ მოიქცეოდა. რა თქმა უნდა, ამ მხრით იგი აზრა გაისინჯებოდა და კუთვნილი პასუხი მიეცემოდა, ისიც მაშინ, თუ ამას საჭიროდ დაინახავდა კამიტეტი.

ახლა ნახეთ რა კუდი გამოაბა გამგეობამ იმას, რომ კამიტეტის განაჩენს ეურჩა და რწმუნების წერილები არ დაანება. 7-ს ივნისის განაჩენს გამგეობისას ამის თაობაზე რომ გულში ჩაჰხედოთ, გაოცდებით თუ—სადამდე შესძლებია ადამიანს საქმე არიოს და აჰქუჩოს. გამგეობას ეუბნებიან რწმუნების წერილები მოგვეციო და ის-კი აშაზე დამდგარა და იძახის, უკაცრაოდ, ვერ მოგართვითო. თუ გნებავთ, ჯერ შეგვატყობინეთ, რას ჰფიქრობთ და რას იტყვით 125 კაცის აზრის გამო და მერე ავილებთ, დავიღებთ დაგანებოთ წერილები, თუ არაო. თუ ამ უცნაურ პასუხის საბუთს იკითხავთ, გამგეობა არა ნაკლებ უცნაურად გარწმუნებთ, რომ რწმუნების წერილების ჩვენ მიერ არ დანებებას და ამ 125 კაცის აზრსა,

*) იხ. „ივერია“ № 169.

*) იხ. „ივერია“ № 199, გვერდი მე-2 სვეტი 1-ლი.

რომელიც ჰთხოვს გამგეობას ნუ გააუქმებინებთ კამიტეტს კრების განაჩენებსა და კრების უფლებას ნუ შეარყევინებთო, ისეთი მჭიდრო დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან, რომ ერთის უმეოროდ განკითხვა და განსჯა შეუძლებელიაო. აი მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო, ეს არის.

რა შუაშია აქ 125 კაცის არზა, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის, და რა აქვთ საერთო ამ არზასა და რწმუნების წერილების არ დანებებას?

ან აღარ იკითხავთ,—არსებითად რას ჰნიშნავს თხოვნა ამ 125 კაცისა? განა იმას არა, რომ კამიტეტმა-კი არ იქონიოს გამგეობაზე ზედამხედველობა, არამედ გამგეობამ კამიტეტზე? აი, თუ გნებავთ, გაუქმება საზოგადო კრების განაჩენისა ეს არის! ნუ თუ ეს ამისთანა თხოვნა 125 კაცისა, მართლაც არ აუქმებს განაჩენებს კრებისას, რომელსაც ზედამხედაობა გამგეობაზე დაუწესებია და მიუნიჭებია კამიტეტისათვის და არა გამგეობისათვის კამიტეტზე. ნუ თუ ეს-კი კრების განაჩენის გაუქმებას არ ერჩის და ის-კი ერჩის, რომ კამიტეტმა რწმუნების წერილები მოითხოვა, ერთი ენახო რა წერილებიაო.

თქვენ გეუბნებიან, რწმუნების წერილები მოგვეცითო, და თქვენ-კი იძახით, ჯერ შეგვატყობინეთ 125 კაცის არზას რა პასუხს აძლევთო და მერე ჩვენ ვიცითო. ხომ ორში ერთი პასუხია მოსალოდნელი, თუ რომ კამიტეტი თავზე ხელს აიღებდა და ამ უცნაურ შემთხვევაში პასუხის მიცემას არ ითაკილებდა, ან იტყოდა: ბარაქალა, რომ ეს 125 კაცი ასე ირჯება და ჰფრთხილობს კრების პატივისათვის, როცა ამ კრებას არავინ ცუდს არას უქადის; ან; ვწუხართ, ტყუილ-უბრალოდ გარჯილან და გული გაუხეთქიათ გამგეობისათვის, იმიტომ-რომ ჯერ ეგ ამბავი კამიტეტს როგორც კრებულს, გუნებაშიაც არ გაუტარებია და ჩვენი რა ბრალია, რომ ვისაც რა აგონდება, ის ეზმანებაო.

ხუმრობა გაშვებით და ეს 125 კაცი რომ ძალიანაც თავ-გამოდებულნი იყვნენ და გამგეობას ეხვეწებოდნენ გვიშველეთო, არიქა, ხელიდგან ნუ გაუშვებთ, ნუ დაანებებთ რწმუნების წერილებსაო, თორემ კამიტეტს თქვენზე ნაკლები ჭკუა აქვს, თქვენზე ნაკლებ გული შესტკივა საზოგადოებისათვის და ერთს ხათაბალასა და ვაი-ვაგლახს ასტეხსო, განა აქედამ ის გამოდის, რომ მართლა გამგეობაა ზედამხედავი კამიტეტისა და არა კამიტეტი გამგეობისა. განა აქედამ ის გამოდის, რომ კამიტეტს არ უნდა მოეთხოვნა რწმუნების წერილები და გამგეობა უნდა გახძალიანებოდა!.. როგორც გნებავთ აპტყელეთ, ასორსლეთ, აგუნდავეთ ეს არზა 125 კაცისა და მაინც აქედამ ერთის ბეწვის ოდენას საბუთს ვერ გამოიტანთ იმისას, რომ წერილების არ-დანებებას გამგეობისაგან და ამ არზას ერთმანეთისა რამ ეცხოთ, ერთმანეთისა რამ ეკეროთ. და თუ მაინც და მაინც გამგეობა ამ არზას დაჰბღაუქებია, გადი და გამიტანეო, ან ხელზე დაუხვევია, ეგ უილაჯობის ილაჯია, ეგ ის არის მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, როგორც ზემოთა ვსთქვით.

ამ 7-ს ივნისის განაჩენი გამგეობისა მარტო იმითია შესანიშნავი, რომ აქ გამგეობამ არ-დანებება რწმუნების წერილებისა, როგორც ჰხედავთ, თავის საერთო საქმედ მიიჩნია. ეს დასახსომია, იმიტომ-რომ მერე ვნახავთ, როგორ გადასთქვა გამგეობამ ეს სიტყვა და ხელი დაიბანა, ჩვენ აქ არაფერს შუაში ვართო, მარტო თავმჯდომარეა რაც არისო, თქვენ იცით და მაგანაო. კარგია, ვინც ისე დაწყნარებულია ამ დაუწყნარებელ შემთხვევაში, რომ არც ბარაქალა უნდა ამ ალიაქოთისა და არც ოლოლო.

## ახალი ამბავი

*** დღეს მოგვივიდა ბ-ნ ლ. პ. ზაგურსკისაგან 3 მან. 50 კაპ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 919 მან. 32 კაპ. ამიანათ გახდა 922 მან. 82 კაპ.

*** ხვალ, 10 აგვისტოს, დიდუბის ღვთის მშობლის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ, დანიშნულია წირვა და წირვის შემდეგ პანაშვიდი განსვენებულ დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის მოსახსენებლად. მწირველი ამ დღეს ეკკლესიაში მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე იქნება.

*** გუშინ-წინ საღამოს, ახალციხესა და ახალქალაქის მაზრების დათვალიერების შემდეგ, ტფილისში ჩამობრძანდა ტფილისის გუბერნატორი.

*** ახალციხე: პირველ გამოზაფხულებაზე და ზაფხულის დამდეგაც დიდი იმედი გვქონდა სიმინდის მოსავლისა, მაგრამ ეს იმედი გაგვიცრუვდა და ბედმაც ვეიმტყუნა. ამ ქამად აქეთ საშინელი სიცხეებია, სიცხემ მოსავალი მთლად ამოაგდო და ხელი აალებინა საწყალ ხალხს, ახალციხის ქვემოდგან მოყოლებული ხაშურამდის ისე გახმო და გააყვითლა უწყლო-უწვიმობამ მინდორი, რომ კაცს შესზარავს შესახედავად. ალაგ-ალაგ, სადაც-კი წყალი ჩამოუდიოდა სიმინდებს, ცოტაოდნად თვალ-საჩინია და იქ-კი, სადაც გვალვისაგან წყალი დაძვირდა და არ ირწყოდა სიმინდები, ულვაშის ამოღება ღა დასცალდათ, ისე დახმნენ. პატრონებმაც დასჭრეს ჩალად და საქონელს შეაჭამეს. ახალციხის ზემოდამ-კი, აბასთუმნისკენ არა უშავს-რა სიმინდის მოსავალს, აქ უწვიმობამ ვერაფერი დააკლო, რადგან წყალი უხვადა ჰქონდათ.

*** ქვემო-მაჩხაანი. (სიღნაღის მაზრა): ჩვენში ძალიან კარგი მოსავალი იყო წელს ქირნახულისა, ასე, რომ კარგ ფასად რომ გაეყიდნათ, ტვირთი ცოტათ თუ ბევრად შეუმსუბუქდებოდად და კვლავ აღარ მოუხდებოდათ ავეტიქ გეოების ხვეწნა ვედრება, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მაინც და მაინც კარგს მოსავალს, როდესაც წინადვე ჩემი ნაშრომ-ნაღვაწევი სხვას ეკუთვნის? გლეხი მაზანდის კვალობაზედ ვერ გაჰყიდის თავის საქონელს, რადგან ფოსტის ფული აქვს შესატანი და ისევ იმ ავეტიქას უნდა მიჰყიდოს ნახევარ ფასად თავისი წვითა და დაგვით ნაშრომ-ნაღვაწევი. ამიტომ შეგნებული გლეხები სიხარულით მიეგებნენ ქართულის სააქციონერო ამხანაგობის დაარსების აზრს, ეგება მაშინ მაინც არის ვეიშველოს ღმერთმა და სხვის ყმობას თავი დავახწიოთო, მაგრამ როდის ინებებს ღმერთი სააქციონერო ამხანაგობის დაარსებას, ჩვენ-კი ტყავი გაგვძრა-და. როგორც „ივერიაშიაც" იყო მოხსენებული, ჩვენშიაც თანდათან ფეხს იკიდებს ქურდობა. აი ამას წინადაც 3 აგვისტოს, ქურდებმა გასტეხეს სახლი სვიმონ იმნაძისა. სახლობა იმ დროს კალოზე იყო და არა გაუგია-რა. სახლის პატრონი დანაკლისს ათ თუმნად აფასებს. ადგილობრივი პოლიცია სცდილობს, ქურდები აღმოაჩინოს, მაგრამ აქამომდის ჯერ ვერა გაუგია-რა.

*** სოფ. ხუმალაგა (კავკავის მაზრა) მკათათვის 26 აქ შემდეგი საცოდაობა მოხდა: სოფლის გარეთ ნახევარ ვერსის მოშორებით ჩვეულებისამებრ ბავშვები ბანაობდნენ მდინარე კამბილეევკაში, მათ შორის ერია საბრალო დრიშა ყუსაევის ერთადერთი ათის წლის ვაჟი; ბავშვები ჩაცვივდნენ მდინარის თითქმის სიგანე-ნახევრიანს და ორ-საჟენიან მორევში, სხვა ბავშვებმა დაიწყეს ცურაობა და საბრალო დრიშას ვაჟი-კი დასძირა მორევმა. მისმა ამხანაგებმა კარგახანს უყურეს, ეგონათ თითონ დაყურყუმელავდა განგებ და ამოვაო, მაგრამ, რომ აღარ გამოჩნდა, მოაშურეს სახლს. სანამ ბავშვები სახლში მოვიდოდნენ და სანამ კაცი წავიდოდა, თითქმის საათნახევარზედ მეტმა გაიარა. ჩაცვივდნენ მორევში სამი ბიჭი, იპოვნეს მაშინვე და გამოიტანეს დრიშას ვაჟი, მაგრამ გვიან-ღა იყო. საცოდავმა მამამაც კინაღამ თავი დაირჩო სიმწარით.

*** სოფ. ბრუთი (კავკავის მაზრა). მკათათვის მიწურულებში ბრუთელმა ოსმა უმარამ თოფი დაიცა გულში და, თუმცა ტყვიამ იქითა მხარეს გაატანა, მაინც გადარჩა, თავის მოკვლა უმარას იმ მიზეზით განეზრახნა, რომ რაღაც საეჭვო საქმეზედ ცოლთან ლაპარაკი მოსვლოდა და ხალხის სირცხვილით სიცოცხლის მოსპობა უნდოდა. საზოგადოდ ბარის ოსი ძნელად აიტანს ხოლმე ცოლის ავს საქციელს.

*** სოფ. მეჯვრა (გორის მაზრა): ჭირმა საქონელს მუსრი გაავლო, პატრონი და მშველელი-კი არავინა ჰყავს. ჯერ-ჯერობით ას-ოც-და-ათ სულზედ მეტი საქონელი გაწყდა. დახოცილ საქონელს გლეხები ტყავს აძრობენ და მერე გატყავებულს სოფელს გარეთა ჰყრიან. ამის გამო ისეთი საშინელი სუნი დგას, რომ ათის ვერსის მანძილზედ ჰაერი მოწამლულია და, თუ ცხვირ-პირში ხელი არ მიიფარა, ადამიანს გული შეუწუხდება.

*** პეტერბურგის გაზეთები იუწყებიან, რომ მთავრობას ჰსურს, რამდენიმე კადეტთა კორპუსი დააარსოს ამიერ-კავკასიაში. ამასთანავე დიდი ყურადღება ექნება მიქცეული იმასაც, რომ რაც შეიძლება ბლომად დაარსდეს პირველ-დაწყებითი რუსული სკოლები მაჰმადიანებში და კავკასიის სხვა ადგილებშიაცაო. ამას გარდა განზრახვა მთავრობას აქვს, კიდევ რამდენიმე დაბალი სამეურნეო სასწავლებელიც გამართოს სხვა-და-სხვა მრეწველობისაო.

*** ტფილისის სამუსიკო საზოგადოებას, როგორც გაზ. „Нов. Обоз." იუწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროში წარუდგენია დასამტკიცებლად წესდება ახალის სამუსიკო სასწავლებლისა, რომელიც ამ საზოგადოებას განუზრახავს ამ წლის 1 სექტემბრიდგან დააარსოს ტფილისში. ეს სასწავლებელი შუათანა შეძლების ხალხისთვის იქნება, იმათთვის, რომელსაც შეძლება არა აქვს ეხლანდელს სამუსიკო სკოლაში მიაბარონ ყმაწვილები, რადგან სასწავლო ფულს

# ფელეტონი

## მოგონება

### IV*)

ციკა. ჰა, კარგი, მითხარ, კაცო! სული ნუ დამალევინე.

სოსანა. რას მომცემ, რო გითხრა? თუ დედა-შენთან წამიყვან ამაღამ—ბაშუსტა.

ციკა. დაიქსაქსე აქადამ!..

სოსანა. რა არი, ბიჭო, შე სიყმემკვდარო, რათა ხარ ე გაუგონარი ფხუკიანი და რატო იცი ე რუსული ატკაზი. ის ქვრივი და მე ქვრივი, შენ შვილი და მე მამა, გავახარებ, გამახარებს, სხვა რა დაშავდება?.. შორეული არა ვარ და ჭორეული.

ციკა. შენ ე დაუკრეფავში ნუ გადაჰდიხარ, თორე შემომელაწძლები და დარჩები შერცხვენილი ვირეშმაკა. შე კორკოტ-ძალლო, კაცი ბატივით გაჰთეთრდი, და არ იქნა, შენმა მყრალმა ენაპირმა-კი დღესაც ვერ მოიშალა ე მურდალი და უწმაწური ლაპარაკი.

სოსანა. აი ა ბართლომესთანა უწესრიგო ნუღნუღა-ვირებმა დამაბერეს, თორე მე რა გამათეთრებდა. შენ სითეთრეზე-კი ნუ მიყურებ, გული გამიშინჯე, ციკავ, გული! ერთი შავთვალ-წარბა დედი-შენის დანახვა ვაზნაანის ტყემალივით პირს მიწყალებს და ბრინჯივით ვიმატებ ხოლმე, როცა-კი ის მიყურებს თავისი შავი-ჟუჟუნა ეშხიანი თვალებით. „მეველეეეე"!.. მეძახოდა იმ დღეს ლამაზ თვალებიანი და ხუჭუჭ კავებიანი ლაბუა დედაშენი. მე მაშინვე ვიცან დედი-შენის წკრიალა ხმა და გულმა სიხარულით შემითამაშა, მაგრამ იგრევ მალე ჩამოყარა ფრთეები, როცა მიველ და ვნახე: თან ვილაცა გოგო გამოეყოლებინა, გოგოებში გამოერჩიოს იმისი თავი!

ციკა. აი ამოგაგდოს გამჩენმა, კაი ბედ-ნახი კაცი შენა ხარ. მითხარ, კაცო, კარგი! თხები უნდა გავირეკო.

სოსანა. არა, ჯერ შენ მითხარ, რო წამიყვან ამაღამ ი ამომავალ მთვარესავით ყელ-ყარყარა დედაშენთან, და მერე გეტყვი-კი არა, ხელის გულზე ერბო-კვერცხს მოგიწვავ და ზედ ჩიტის რძეს დაგალევინებ. დღეა რო წელიწადსა სჯობია, წელიწადია რო ერთ დღეთ არა ღირსო, უთქვამ თათარს: მაგრამ, როცა-კი დედაშენთან წამიყვან, მე იმ დღეს ოც წელიწად'შიაც არ გავცვლი!

ციკა. ფუ! შაგაჩვენა ღმერთმა!.. და არც შენთან ლაპარაკი! ციკა გველნაკბენივით წამოხტა ზეწვე გაბრაზებული. ბიჭები გულიანად ვიცინოდით და, ასე გასინჯეთ, თითონ პირ-ქუში ნუღნუღაც-კი იღრიჭებოდა.

სოსანა. ოხო-ხო! გაცხარდა, ციკა, გაცხარდა ეს პირ-ძაღლი. აი მეხი-კი ჩაგარტყი მა ტუტრუცანა ქაჯიან თავში! თუ წამოჰხტი, შენმა გაქრობამ, გულდაგულ დაიძახებ:

> ვაჟკაცის გული ღრმაა,
> არ დაურჩება მტერსაო,
> სიცოცხლეს მსხვერპლად შესწირავს
> თავის ქვეყანა-ერსაო,

და ხმალდახმალ გადაერევი მტრის დარაზმულს ლაშქარში მამა-პაპისებურად! სად არი სამართალი, თორე შენისთანა ქალაჩუნა ლაჩრებს ლუკმასაც არ უნდა აჭმევდეს პატრონი და გოგოები ხო შორი-ახლოც არ უნდა იკარებდნენ. მე რო ღმერთი ვიყო, მთელ საქართველოს მანდილოსნებს ფურთხის გუდებათ ვაქცევდი და სუ მა ცხვირ-პირში ვაფურთხებინებდი შენისთანა ნაცარქექია და დამბლაცუცა ქუდოსნებისათვის!

ციკა. ე რო დააყრი ხოლმე შლეგიანი ჯორი-წიხლებივით, სხვასაც დააცალედა! რატომაც არ გადაერევი?! იყოს რამე, თორე სუ ზურგზე ნაბუარს ავადენ ჩემს მტერს და იგრე ძალზე ჩაეტყორცნი ქვეშკნელს, რომ ცხრაუღელა კამეჩმაც ვეღარ ამოათრიოს მზიან ქვეყანაში!

სოსანა. ჰო-ჰო-ჰო-ჰო!.. ეს აღარა ხუმრობს, ჯავრობს, ცხარობს, ცეცხლს იკიდებს! ეს არ ყოფილა, ეეე!.. შენს პირს შაქარი, ციკო, ღმერთმა ქნას, რო ჩვენ თხას მგელი დაეჭიროს, ბიჭსაც მაშინ დაგიძახებ, მაგრამ ვაი თუ შენც სიტყვით სწორე და საქმით კუზა გამოსდგე?—აი ხათაბალაც ეს იქნება! ეჰ, კარგი, ამას თავი დავანებოთ, შენ ეს მითხარ, როდის გაჰხდი ი დახატულ დედაშენს ჩემს კნეინა მეუღლეთ? რა მამა გეყოლები, შე დალუპილო! იმდენს ყურძენს გაჭმევ, რო სუ ალარმინდას გაძახნინებ რუსი-მათუშკასავით.

ციკა. აი არ მოგასვენოს ჩემმა წმინდა გიორგიმ! კარგი, დალევ, ჩვენო კუდავ, გატენილო სიტყვიგუდავ! რა ძაღლის ყბად გადიქცევი ხოლმე, შე ამოსაწყვეტო. მითხარ, რა იცი?

სოსანა. მოკვდი, გაქრ! არ გეტყვი. ჩემო ლალავ, მამათ გიხდები შენითანა ვერანა-მუტრუკს, არა ჰჩადიხარ, და მე რაღათ გეტყვი, რაც ვიცი.

ციკა. ჯანი და სული გაგვარდეს და ჭირი მომჭამე, თუ არ მეტყვი,

*) იხ. „ივერია" № 166, 167, 168 და 169.

მეტად ბევრსა თხოულობენ. სამუსიკო საზოგადოებას რამდენიმე მუსიკის მცოდნე უკვე მოუწვევია მასწავლებლად იმ შემთხვევისათვის, ენიცობაა მინისტრმა შეიწყნარა ჩვენი თხოვნაო. სხვათა შორის მოწვეულნი არიან: ქ-ნი შიდლოვსკისა, ბ-ნი სოკოლოვი, არტისტი ტფილისის ოპერისა, და ქ-ბნი ლევიცკისა. სამუსიკო საზოგადოებას განზრახვა აქვს მოიწვიოს მოსკოვიდგან ქ-ბნი შახოვსკისა, გამოჩენილი პიანინოს დამკვრელი. სასწავლებელში სხვა-და-სხვა სამუსიკო და სათეატრო საგანი უნდა ასწავლონ. დრამატიული ხელოვნების გაკვეთილები ვ. ლ. ფორკატტას უკისრნია.

** ამ თვის 7 პოლიციის მეექვსე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელი სიმონ წოვიანოვი წაეჩხუბა ტფილისისავე მცხოვრებელს მიხეილ ახავიტაშვილს და ბოთლი ესროლა. ბოთლი გატყდა და ახავიტაშვილს ორივე ხელი მძიმედ დაუშავდა. დაშავებულს შემწეობა აღმოუჩინეს და დამნაშავე-კი პასუხის გებაში მისცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ეკატერინენფელდი. მკვლელი კალიაშვილისა ტერ-ანდრიასოვი ბორჩალოს მაზრაში დაიარება. რაც შეეხება იმას, ტერ-ანდრიასოვი ერია თუ არა იმ დასში, რომელსაც აღბულაღის სიახლოვეს ორი აფიცერი უნდოდა გაეცარცვა, ეს არ ვიცი, რამდენად მართალია, ხოლო ქვემო მოთხრობილი ამბავი-კი უტყუარია, რადგანაც თვით მნახველების ნაამბობია. აფიცრების გაცარცვის შემდეგ, რაღაც მანქანებით, ტერ-ანდრიასოვი კოლ. ეკატერინენფელდში გაჩენილიყო. ამას აქ ყველა შინაურულად იცნობს. ამ დროს ტერ-ანდრიასოვი მშვენიერ სამოქალაქო ტანისამოსში იყო და დიდი ცილინდრი ეხურა თავზედ; შავს ფაეტონს ცხენზედ იჯდა თურმე და ერთი კაციც თან ახლდა. მოსვლის უმალ ტერ-ანდრიასოვი ჩამომხდარა სასტუმროში და სასტუმროს მზარეულისათვის ბიფშტექსი და სხვა სასმელ-საჭმელი შეუკვეთია. ტანისამოსს შიგნიდგან რევოლვერი და ხანჯალი ჰკვრია. მზარეულს კარგად სცნობია ტერ-ანდრიასოვი, წინად მასთან ერთად რამდენჯერმე პური უჭამია კიდეც, მაგრამ წინად უბრალოდ ყოფილა ჩაცმულ დახურული და ეხლა ცილინდრში გამოწყობილს ვინ გაჰბედავდა და ტერ-ანდრიასოვს უწოდებდა სახელად. ყველა თითქმის მოწიწებით ექცეოდა, როგორც ვიღაც უცნობს დიდს კაცს. ამ დროს ადგილობრივი ბოქაული სხვა სოფლებში დაიარებოდა სამსახურად. თუ დაწერის იღბალი იყო, იმას თრიალეთის ბოქაული გაჰბოძავდა, რომელიც თავის ჩაფრებით ტფილისს მიეშურებოდა და ამავე დროს სასტუმროში იმის სიახლოვეს სადილობდა. ტერ-ანდრიასოვმა ისადილა და უნდა გასდგომოდა გზას. დაიბარა ჩაფარი და ეკითხება, ჩვენით მინდა წასვლა, რაღაც ავაზაკებისა ხმა მესმის და ვგონებ საშიშიაო. ჩაფარმა მოახსენა, რასა ბძანებთ, ბატონო, იქ რის შიში, აი, აგერ ბოქაულიც ჩაფრებით ქვეით მიეგზავრებაო და რიღას შიში უნდა იყოსო. მაშ კარგიო, უთქვამს და წასულა შუშის ქარხნისკენ. აქ დუქანში გაუშლია სუფრა, მამოუსხამს გარშემო მუშები და გლეხები და ერთი ლხინი, ერთი სიმღერა, ერთი ცეკვა და სიხარული გაუმართავს. ეს ლხინი თითქმის ღამეც გასტანდა თურმე, თუ ერთს გლეხს არ დაეყინა, რომ ეს კაცი ჩვენი მმობილი ტერ-ანდრიასოვი უნდა იყოსო. ტერ-ანდრიასოვმა ადრევე ცამეტი კაცი გაცარცვაო, ის კი ვერ დაიჭირესო და ჩემი მმა ჩააბეს ტყუილად; თუ გამიშვებთ, გამიშვებთ, თუ არა-და უნდა პირდაპირ ვეცე და თავი შევაკლაო. მუშებმა და გლეხებმა კინაღამ თურმე შეულაპეს საწყალი გლეხ-კაცი, როგორა ჰბედავ და მაგ პატიოსანს კაცს ტერ-ანდრიასოვის ჩირქსა სცხებო. ასეთივე წინააღმდეგნი ყოფილან იმის ტერ-ანდრიასოვად ცნობისა მედუქნე და თვით შუშის ქარხნის უფროსი, რომლებიც სხვა ამოდენა ხალხთან ერთად დიდის მოწიწებითა და ქუდის ხდით ეკიდებოდნენ ტერ-ანდრიასოვს. ამ დროს ტერ-ანდრიასოვი მშვენიერის თეთრის ჩოხითა ყოფილა, მოხდენილის ქუდით და მშვენიერივე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ჰკვრია. იგი თითონაც მშვენიერი ვაჟკაცია თურმე: მაღალის ტანისა, შავთვალწარბა, თეთრ-წითელი, ახლად აკოკრებულის წვერ-ულვაშით, 23 თუ 25 წლისა იქნება, კარგი ხმა აქვს და დიდად უყვარს მღერა ქართულად, სომხურად და თათრულად. ბევრის ქალისთვის აუმღვრებია გული თავისის სიმღერით. ასე იყო, თუ ისე, გლეხკაცი მაინც თავისას გაიძახოდა. ამ დროს, ამ გლეხკაცს შეუტყობინებია; თუ სხვას, არ ვიცით, ადგილობრივ მთავრობისაგან დანიშნული მამასახლისი ერთის ჩაფრით მოსულა აქ. ტერ-ანდრიასოვს ესეც სუფრაზე მიუპატიჟნია, მაგრამ უკანასკნელს თავისი დარდი აწუხებდა, სალამისა და ლაპარაკის დროს მამასახლისმა ახსნა იარაღი ტერ-ანდრიასოვს და გამოუცხადა, რომ შენ ის ტერ-ანდრიასოვი ხარ, რომელსაც ეძებენ და უნდა დაგაპატიმროვო. ტერ-ანდრიასოვი დაჰყვა, მაგრამ ხალხში ბღავილი გაისმა, რას შვრებიან, როგორ ჰბედავენ და შეურაცხებას აყენებენ ამ კაცსაო. დიდით პატარამდის ამას ამბობდა. გაისმა ხმა, რომ დიდი კაცი დაიჭირესო და მოაწყდა ახლო-მახლო სოფლებიდგან იმ ალაგას ქალი და კაცი, დიდი და პატარა და სულ ყველას ენანებოდა ეს კაცი. მამასახლისსა და ჩაფარს წაუყვანიათ იგი ადგილობრივს ბოქაულთან. გზაში, მინამ ხალხს მოიშორებდა თურმე, მხიარულად ყოფილიყო. ხალხის მოშორების შემდეგ-კი გულ-საკლავი ქვითინი დაეწყო. სოფლებს რომ გაივლიდნენ, მცხოვრებლები სულ ქუდ-მოხდილი უხვდებოდნენ. მიუყვანია მამასახლისს სოფ. ბაშკიჩეთში და ჩაფარი დაუყენებია საჩაფროში ღამე საყარაულოდ, თითონ-კი უადგილობისა გამო, რადგანაც უდროოდაც ყოფილა, იქვე დუქანში დაუძინია. საუბედუროდ, ადგილობრივი ბოქაული შინ არა ყოფილა, ჩაფარსაც ყური არ უგდია და დილაზედ ტერ-ანდრიასოვის ნაქუსლარი ალაგი-ღა უნახავთ საპატიმროში. წამოსულა ტერ-ანდრიასოვი დაელალოღლისკენ. გზაში იგი უნახავთ ჩაფრებს და, რადგანაც კარგად ყოფილა ჩაცმული და თან ვიღაცა ჰყოლია მოსამსახურესავით, უფიქრიათ, რომ ეს დიდი კაცია ვინმეო, და „ჩესტი" გაუკეთებიათ. ტერ-ანდრიასოვს უკითხავს ავაზაკების ამბავი და მოწიწებით მოუხსენებიათ, რომ საშიში არა გახლავთ-რაო, და გზამშვიდობისას გამგზავრებულან. მას უკან, ამბობენ, ლოკის ტყისკენ დაბრუნდაო. ჩათხის ქარხნის ახლოს უნახავს ერთს იქაურს გერმანელს, რომლისთვისაც უკითხავს, საშიშო ხომ არა არის-რაო, მაგრამ, რაკი გაუგიათ, რომ გერმანელთანა გვაქვს საქმეო, თუმცა ერთად წასვლა უთქვამთ იმისთვის, მაგრამ მაინც უკანვე დაბრუნებულან. ეხლა დღე-ღამ თავ-გადაგლეჯილი ეძებენ ტერ-ანდრიასოვს, მაგრამ, თქვენგან არ მიკვირს, რომ ხის ფოთლის ქვეში ამოფარებული კაცი შეიმჩნეს, მით უფრო, რომ ჩაფრები და სხვანი, ტერ-ანდრიასოვის ხსენებაზედ, უკან გამორბიან. ტერ-ანდრიასოვი დაღეთხაჩინელი სომეხია.

ერთი ამბავი კიდევ. თრიალეთის საბოქაულოს სოფელ მამიშლოში, როდესაც ადგილობრივმა ბოქაულმა ყაზახებით გაიარა, უცებ ორმოცს, თუ სამოცს საჟენზედ, მათ სიახლოვეს, გამოვარდა ტყიდგან თათარი, ცხრა თათს (ყაზილბაშს) თოფით დაადგა, ფულები ამოიღეთო, და მანამ ბოქაული მოუსწრობდა ფული ამოალებინა, ჩაჯიბა და ჰქრი, მიეფარა ტყეს!!!

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ებრაელები, როგორც მკითხველმა უწყის, ძალიან არიან შევიწროებულნი ყველა სახელმწიფოში და განსაკუთრებით-კი რუსეთში. რუსეთში ებრაელთა შევიწროების ამბავი საზღვარ-გარეთაც-კი გავიდა და დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა ზოგიერთ ებრაელთა არამოძულე გაზეთში. მაგალითად, ამ საგნის შესახებ მთელი მეთაური წერილია დაბეჭდილი ლონდონის გაზ. „Times"-ში. ეს გაზეთი რუსეთს ემუქრება, რომ ებრაელთა მიმართ შენს უდიერს საქციელს თუ არ მოიშლი, შენთან ყოველსავე სადიპლომატო კავშირს შესწყვეტს არამც თუ მარტო ინგლისი, არამედ ყველა განათლებული სახელმწიფოც-კიო. შემდეგ გაზეთს მოჰყავს ნუსხა იმისი თუ, როგორ არიან შევიწროვებულნი ებრაელნიო:

მუხ. 1. ამიერიდგან ებრაელებს ნება აქვთ დართული, მხოლოდ ქალაქებში იცხოვრონ და არა სოფლებში. აღკრძალული აქვთ არამც თუ მამულის შეძენა, არამედ მიწის შემუშავებაც-კი. ამ კანონის უფრო სასტიკად შესაქმნელად ასობით პაწია ქალაქი სოფლად არის სახელ-წოდებული და ებრაელობა იქიდგავ განდევნილია! უსახლოდ და უჭეროდ არის დატოვებული ათი ათასობით ებრაელთა ოჯახობა!

მუხ. 2. ებრაელებს მხოლოდ თექვსმეტ გუბერნიაში აქვთ მიცემული ნება ცხოვრებისა და ამ საზღვარს იქით ალარსად უშვებენ, ათასობით ებრაელია თავის საცხოვრებლ ადგილიდგან გამდევნული და და აქ არის შემწყვდეული.

მუხ. 3. ის ხელოსანი ებრაელები, რომელნიც ზემოხსენებულ თექვსმეტ გუბერნიის გარეშე არიან დასახლებულნი, იდევნებიან ამ ადგილებიდგან. ათი ათასობით ებრაელი ქუჩებში დაწანწალებს უბინაოდ.

მუხ. 4. ებრაელებს ნება არ ეძლევათ მადნეულობის საქმეში მონაწილეობის მიღებისა და მადნების შემუშავების აქციების ყიდვისა.

მუხ. 5. განკარგულებაა მოხდენილი, რომ არავითარსამე სასწავლებელში არ მიიღონ ებრაელები.

მუხ. 6. ებრაელებს ვექილობა აღკრძალული აქვთ.

მუხ. 7. აღკრძალულივე აქვთ ხურომოძღვრობა, სამხედრო ექიმად ყოფნა და სულ მცირე სახელმწიფო თანამდებობის აღსრულებაც-კი.

ამ ნუსხაში, ეჭვი არ არის, ბევრს სიმართლესთან ბევრში რამ მეტად გაზვიადებულია და ტყუილად მოჭორებული და კიდეც ამიტომ ზოგნი მეტად ჰქედლავენ და უგვირთ ასეთი საქციელი რუსეთის მთავრობისა ებრაელთა მიმართ. ამავე გაზვიადებას ებრაელთა შევიწროებისას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ, საზღვარ-გარეთის გაზეთების სიტყვით, ნიუ-იორკის დეპუტატს ვაშინგტონში წინადადება შეუტანია, რომ „მეგობრულად" ჩვენი უსიამოვნება გამოვუცხადოთ რუსეთს ებრაელთა შევიწროების გამოვო.

**

ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონ-

---

ტირილს დავიწყებ რა?! მიყურე, როგორ ვიმღერო:

შენი მმობის სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია,
ჭორი ბევრი გავიგონე,
მაგრამ ყური არ მიგდია,
თუ რო გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.
ჰოი დელა-ნანინა, ჰოპ!

ამ სიტყვებზედ ციკა ცერცვივით შეხტა და ციბრუტივით შემოტრიალდა.

სოსანა. ურა, ბიჭებო, ურა!
გალობს ჩვენი ბელურა!

ციკა. გალობს შოშია,
ჯავრობს გოშია...
ჩემო კოკლე,
შე სულ-მოკლე,
დღენი რისთვის დამიმოკლე!
ტარა-ნინაჲ, რახნა-ნინაჲ!
ნინაჲ-ნინაჲ, რაჲნა ნინაჲ!

სოსანა. ნეტავი შენ, ციკო, რო არაფრის დარდი არა გაქვს, და წნეხაგრეხით ახლახუნებ, რაც ენაზე მოგადგება.

ციკა. რა ჩემი ფეხების დარდი უნდა მქონდეს?! დღესა ვარ, ხვალ აღარ ვიქნები: მიწა შემჭამს. არა, სადარდებელი რა მაქ?! ვენაცვალე ღმერთს, ჟირჯები და ტკბილ ლუკმასა ვჭამ. არც ჰკვაში, მკლავში, იარაღში და ტანისამოსში ჩამოვუვარდები ჩემ ტოლ ბიჭს ღვთის მადლით! აქ უყურე ჩემს ახალ ტყავი პაჭიჭებს და ცალ-ლულიან თოფს, როგორ ფერ უმარილით გათხუპნულ გოგოს ლოყებივით ლაპლაპებენ ლორის ლურთისაგან! სხვა რა მაკლია?! ეს ტრედის ფერად მოკაშკაშე მთვარე-მზიანი ცა, ეს ხასხასა მწვანით გალალანებული და ლურჯლილასავით მთებით შემოციხული მინდორ-ველი, ეს კარგი ყინვასავით წყარო, კარგი, დახატული მუხა-კაკლების ჩრდილი, კარგი ყვავილების სუნით გაჟღენთილი ნიავი, კარგი ნოყიერი რძე-მაწონი, კარგი ლორის მწვადე ი და წითელი ნუნუა და სხვა რაღა ჩემი ფეხები მინდა აწუთისოფლის სამოთხეში?! ასე ვთქვათ, ერთი კარგი, ფუნჩულა გოგონა-ღა მაკლია, ჰა-ჰა! მაგრამ

ალილო და ჩვაღლო,
ღმერთო შეგვიწყალე.

ამასაც მალე მოვესწრობი და ტახივით ავისუყებ გულს მის ხვევნაკოცნით ქინ-მოკლული და მერე რაღა ჩემი ფეხები მინდა?!

სოსანა. ბიჭოს! სხვა რაღა უნდა გინდოდეს?! გიქისათვინ ეგაც მეტია, რაც შენ ჩამოსათვლელი ჩამოსთვალე!

ციკა. გი-ქი-სა-თვინ!.., შენ-კი, შენმა გამოკლებამ, იგეთი სოლომონ ბრძენი ხარ, რო ჰკვით ცას გაჰხვრეტავ და პანტი-პუნტით ჩამოჰყრი გველაშაპებს ორ-ფეხა მგლების ამოსაჭლეტად! შე ოხერო, შენი თავის პატრონი, სხვას როგორღა დასცინი სირცხვილით: ღმერთს შენთვის მუშაობის შნო და ხალისი-კი არ მოუცია, და ალოღლეტია მეველობაში ატარებ მთელ შენს ქედ-ძალღ სიცოცხლეს.

სოსანა. შე ვირის ბახალავ-და, ეგ-კი საქმე არალი, რო დღე-და-ღამე ძერასავით თავს ვევლები ი ვენახებს?!

ციკა. თავს ევლები!.. ჰო-და მეც ე მაგას გეუბნები, შე თავ-გასახმობო, რო სამგლე ძერასავით თავს ევლები ი ვენახებს და დღისით ქათმებსა ჰქლეტავ ი შენი კუდა-შამხანა თოფით და ღამით ბზის ფასად ყურძენსა ჰყიდი მინდვრის ბიჭებზე.

სოსანა. აი ლოპრიან ლოქოფაჩად იქე, რო ხელად აქვე დაულეწავათ ჩაგყლაპოს ჩვენმა თევზი-ყლაპია ნულნულამ. ეგ ის არი: ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვავო. არა, შეილო, მე იმ თავ-ლაფიან მეველეების ნახირსა არა ვარ, რომლებიდამაც შენ ბზის ფასად ყურძენი გიყიდნია შენი ნაპარევი რძე-მაწონით. ღმერთი არ გაგიწყრეს, ჩემთან ეგ არ გაჰბედო და არ მომიტანო, თორე შენს დო-მაწონს შენვე თავ-პირზე ჩამოგასხამ და იგრე გამოგისტუმრებ კუდ-ამოძუებულს. ახ, ი დალოცვილმა ღჰერთმა რათ წაგვართვა ი მადლიანი ვანიკო, რომ შენთვინაც ერთი იგეთი თავლაფ-დასასხმელი ლექსი გამოეთქვა, როგორიც ჩვენ დოყლაპია გალუსტას გამოუთქვა და დედა უტირა.

ციკა. რძე-მაწონს-კი არა, შავ-ქვას მოგიტან, რო გულზე დაიდვა. არა ი საწყალ ვანიკოს რიღასათვინ მისწვდი ი საფლავში, თორე ჰო კიდე. მართლა, ეხლა მომაგონდა. ე ხო ვიცი, რომ სიძალლე გედვა გულში და ჩემთან სათქმელი არა გაქვ-რა, და იმ დღეს რომ მპირდებოდი, ვანიკოს პაპის აქიას გიამბობო, ის მაინც მითხარ, შე ოჯახქორო, მინამ მოცლილითა ვართ.

სოსანა. შენ?! რო გაჰქრე, აღარას გეტყვი, მინამ ი კეწკეწა დედაშენთან არ წამიყვან. და თუ ვეტყვი, იგრევ აი ე ვირის ნაწურთნებს და ბრიყვებისაგან გაბრიყვებულებს ვეტყვი, რომ ისწავლონ რამე. თქვენ, ეი! ვირის ბახალებო! რა ნადირაანთ ზანტი ჯორივით ყურები ჩამოგიყრიათ და გამოჰყეყეჩებულხართ. გაგულხმიერდით და გადაიქეცით სმენად, ვანიკოს პაპის აქია უნდა გითხრათ, გესმით თუ არა?

— გვესმის! გვესმის! — მივაძახეთ ბიჭებმა.

სოსანა. გვესმის! გვესმის! ჩემს მტერს არა ესმოდეს-რა, რო თქვენ არა გესმით რა, თორე აქ რას უყურიხართ ეხლა და წიგნს არა სწავლობთ, ჰა? თქვე მუდრეგებო, ჯამაგირს იმიტო იღებს ი თქვენი წვერცამეტა მღვდელი, რო გასწავლოთ რამე და კაცური კაცები გამოხვიდეთ, და თქვენ კი ყურ-მოჭრილ მონასავით იმის საქმეს აკეთებთ. ფუ! შაგირცხვეთ ე უგუნური ბიჭობა და არ-კაცური საქციელი! ხარი ხართან დააბი, ან ავს ისწავლის ან კარგსაო, და თქვენ ა სამგლე, გამოსარსარაკებულმა ნულნულამ რა უნდა გასწავლოთ, გარდა ცუდ-კაცობისა? უყურეთ! უყურეთ, რამოდენა ყბა დაულია მა ვირის შაქმნილ-დაბადებულს და როგო უდარდელად ხვრინავს დღისით-მზისით. დიდება შენთვის, უფალო! რამ დააძილქუშა ეგრე მალე ეს გაჩენა-ძალლი ამ დროს, როცა ქვეყანა სიცოცხლით დულს და გადმოდის! აი ქრიჰტემ ამოაგდოს შენი ცუდა-მჭამელი თავი ნულნულავ, ქრიჰტემ.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

და, რომ ინგლისელებსა და რუსებს სპარსეთში ცილობა და ჯიბრი აქვთ გამართული და თითოეული იმას არის მოწადინებული, რომ არა, მე უნდა გავიდგა აქ ფეხი, და არა, მეო. ამის შესახებ სწერს ეხლა გაზ. «Московскія Вѣдомости»-ს თეირანელი კორესპონდენტი და ამბობს, რომ ინგლისელები დიდად პარპაშობენ სპარსეთში, ყველაფერი იმათ ჩაიგდეს ხელში, სხვა-და-სხვა ადგილას გზა-ტკეცილები გაჰყავთ, საკომისიოებს ჰმართავენ, ფულებს აძლევენ სპარსებს და სხვა-და-სხვა.

რეიტერის მიერ დაარსებული ბანი ჰყვავის და კეთილ-დღეობაშია. რეიტერის საკომერციო უნარისა რომ აქ დიდი იმედი და ნდობა აქვთ, ამას სხვათა შორის ის ამას წინად აქ გავრცელებული ხმაც ამტკიცებს, რომ ემინ-სულტანს განზრახვა აქვს, რეიტერსა და ამხ. დაუთმოს ზარაფხანის იჯარათ. ეს ზარაფხანა სპარსელ შეძლებულის კაცის, მახმუდ-აბადის რკინის გზის გამყვან ემინ-ოზ-ზარბის ხელშია. ინგლისელებს იმისი ნებაც-კი აქვთ თურმე დართული, რომ ეხლანდელი ფული შესცვალონ, სხვა სახისა მოსჭრან, რათა ყველგან გასავალი ჰქონდეს.

დასასრულ კორესპონდენტი ამბობს, რომ ეხლა საბოლოოდ გადაწყვეტილია საქმე და სპარსეთი ინგლისზეა დამოკიდებული ვაჭრობის მხრივაცა და ფინანსიურადაცაო. ერთის სიტყვით, მდაბიურად რომ ვსთქვათ, ინგლისელებმა ეს გემრიელი ლუკმაც გამოაცალეს რუსებს ხელიდგანაო.

◆◆

# რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს, დაარსოს უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებს ეწოდება „რუსეთის ბაღოსნობის ინსტიტუტი“. ეს სასწავლებელი გაიმართება სამხრეთის ერთ-ერთს საგუბერნიო ქალაქში, უფრო-კი სიმფეროპოლში, რადგანაც ეს ადგილი შუა-გულია მთელის ყირიმის მევენახობისა და ბაღოსნობისაო.

— საერო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, დაარსონ ყაზანში სამაგალითო სპედაგოგიო მუზეუმი. პროექტი ამ მუზეუმისა უკვე შემუშავებული და დამტკიცებულია.

— სამკურნალო საბჭოს შუამდგომლობით შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღკრძალა საჯაროდ გიპნოტიზმისა და მაგნეტიზმის სეანსების გამართვა. გაპნოტიზმი და მაგნეტიზმი მარტო მკურნალებს შეუძლიათ იხმარონ ავადმყოფთათვის და ისიც მხოლოდ ადმინისტრაციის ნებართვითა და სხვა მკურნალების თანადასწრებით. ამ განკარგულების მიზეზად ის აქვს დასახელებული სამინისტროს, რომ მაგნეტიზმისა და გიპნოტიზმის წარმოდგენები ცუდადა ჰმოქმედებს მაყურებლებზედ, ზოგს სულის ავადმყოფობას დაჰმართებს ხოლმე და ცრუ-მორწმუნოებას ავრცელებს შეუგნებელს ხალხშიო. ამას გარდა, ბევრნი, რა-კი პიპნოტიზმსა და მაგნეტიზმს შეისწავლიან ხოლმე, სხვა-და-სხვა ბოროტებას სჩადიან იმის შემწეობითაო.

— „Гражданинъ“-ს შეუტყვია, რომ პეტერბურგში ცხენების დამზღვეველი საზოგადოება არსდგება. ამ საზოგადოების პროექტი უკვე შემუშავებულია და სამინისტროში იქნება წარდგენილი დასამტკიცებლადაო.

— კიევშიაც ყოფილან თურმე დიოგენები. ამას წინად ერთს კიეველს მკურნალს ქალაქის განაპირა ხევის პირზე დაუნახავს ორი დიდი ბოჭკა. ბოჭკებისკენ გატკეცილი ბილიკი მიდიოდა თურმე. მისულა მკურნალი და უნახავს, რომ ბოჭკებთან ძაღლიცა ყოფილა, შეუხედნია ბოჭკებში და შიგ სახლივით მოწყობილი ყოფილა, სხვა-და-სხვა ავეჯი ლაგებულა რიგზე, როგორც ოთახში. მკურნალს უკითხია, უწვრილნია და მართლა აღმოჩენილა, რომ ვიღაც მოხუცი ცოლ-ქმარი სცხოვრობენო ამ ბოჭკებში. დილით არე მიდიან ქალაქში და თავიანთ ქოხს ძაღლის ანაბარად სტოვებენ, საღამოზედ-კი შინ მოდიან და ამ ბოჭკებში სძინავთო.

— ამას წინად ვარშავში მთელი ბრბო აღმოუჩენიათ ჯიბგირებისა და მძარცველებისა. მოთავე ამ ბრბოსი ყოფილა ვიღაც ქალი ბეკერმანი. ოციოდე ახალგაზდა კაცი ჰყოლია ამ ქალბატონს ხელქვეითად და, რასაც უბრძანებდა თურმე, ყველაფერს ასრულებინებდა. ამათი სასპარეზო მოედანი განსაკუთრებით რკინის გზები ყოფილა. ორ წელიწადზე მეტია თურმე, რაც ავაზაკობენ, და აქამდის-კი ვერ გაუბამთ ხაფანგში. ბეკერმანს ბლომა ფულიც შეუძენია თავის ხელობით, მხოლოდ ეხლა ბედს უღალატნია და პოლიციას ჩავარდნია ხელში. ამას წინად საზღვარ-გარეთიდგან მოდენილა ვაჭარი ეოლკოვი და პირველის კლასის ვაგონში მჯდარა. შესულა იმავე ვაგონში ვიღაც კოპწია ქალი და გვერდზე მოსჯდომია ეოლკოვს. ქალს ერთი სხვა კაციც შემოჰყოლია და ორთავეს ბაასი გაუმართავთ ეოლკოვთან. ბაასის დროს ეოლკოვისთვის სიგარაც უთავაზებიათ, რომლის მოწევა და იმისი დაბინებაც ერთი ყოფილა. როცა გამოჰღვიძებია, ეოლკოვს ხელი მოუსვამს ჯიბეზე და 2100 მანათი აღარ აღმოუჩენია. მაშინვე მიმხვდარა, რომ იმ ქალბატონმა და ვაჟბატონმა გამძარცვესო და გამოვლილს სადგურებზე დეპეშები დაუკრავს. ვარშავის მახლობლად პოლიციას უკვე დაუჭერია ბეკერმანი და იმის თანამოზიარე კაციც. ბეკერმანს გაუცია და ამათ გარდა 5 სხვაც შეუპყრია პოლიციას.

◆◆

# დეპეშა

7 აგვისტო

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი ვერხოვსკი დაინიშნა მისის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარ-გამგეს ამხანაგად.

გუშინ დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან სახელმწიფო ქონებათა მინისტრი.

ფინლიანდიის გაზეთები დაბეჯითებით ამბობენ, რომ აღლუმებს შემდეგ იმპერატორს ვილჰელმს განზრახვა აქვს ფინლიანდიაცა ჰნახოსო.

ნარვა. გუშინ პრეობრაჟენსკის რაზმს ჯარისას საკუთარი დღესასწაული ჰქონდა. პარადის შემდეგ ჯარს პირველად გერმანიის იმპერატორი ემთხვია, შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და სხვანი უმაღლესნი წევრნი სამეფო გვარეულობისანი. ბანაკში ხელმწიფე იმპერატორმა პრეობრაჟენსკის რაზმის სადღეგრძელო დალია. საუზმის დროს იმპერატორმა მიირთვა სადღეგრძელო გერმანიის იმპერატორისა და შემდეგ ავსტრიის იმპერატორისაც იმის დაბადების დღის გამო. გერმანიის იმპერატორმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო რუსულს ენაზედ წარმოსთქვა.

დღეს გერმანიის იმპერატორმა მათ უდიდებულესობათ მშვენიერი ეტლი უფეშქაშა. 3 საათზე საერო სეირნობა დაიწყო ნარვას ნაპირად; 4 საათზედ მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესნი სტუმარნი ქალაქისკენ წაბრძანდნენ და ჰნახეს ქალაქის საბჭო, პეტრე დიდის სახლი და ივანგოროდი.

8 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება, რომ ევროპის საზღვრით მოტანილს შაქარს გარდასახადი მოემატოსო: ნავთ-სადგურებით და მშრალის გზით შემოტანილ დანაყილ შაქარზედ უნდა გადაიხადონ 3 მან., ხოლო რაფინადსა და ყინვარ შაქარზე, თუ შავისა და აზოვის ზღვათ არის შემოტანილი, — ოქროთი 2 მან. 90 კაპ., ხოლო სხვა ნავთ სადგურებისა და მშრალის გზით შემოტანისათვის-კი — 3 მან. 90 კაპ. ეს გარდასახადი უმაღლესის ბრძანების გამოცხადების დღიდგან უნდა იქმნას შემოღებული.

პეტერბურგის ბირჟა, 7 აგვისტო.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგება. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6, 58 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 131¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 10 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 230 | — „ | — „ |
| — მეორისა | — „ | — „ | 220 |
| — მესამისა | — „ | — „ | 215 |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
გამოცემა „ქართულის სამღრთო წიგნთ-საკითხავისა“
ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის
**ფილარეტისა**
ფასი წიგნისა ორი შაური, ვინც ოც აგზემპლიარზედ მეტს იყიდის, 20% დაეთმობა.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:
ქართული-რუსული
**ლექსიკონი**
დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 2 მან.
რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი
გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა
ბერლინში
და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული
ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,
მიხეილის ქუჩაზედ, № 117.
**ფოლადის გუთნები**
ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.
სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).
მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.
ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.
სამკალი მაშინა.
სათიბი მაშინა
ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.
რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—47)

სახის სილამაზე
**არყის ხის ემულსია**
ა. ენგლუნდის კოსმეტიკა.
ეს საშუალება გამოგონილია სახის ჭორფლისა, ლაქისა, მუწუკისა, ფერის-მჭამელასი და სხვ. წინააღმდეგ. არყის ხის ემულსის ხმარების დროს სახის კანი ძალიან ნაზი ჰხდება და სითეთრე-სისპეტაკე ეძლევა, ჭმუხვნსა და ნაყვავილარს შეუმჩნეველს აქცევს. ეს ემულსია ზამთარში დიდად საჭიროა კანის დასკდომისაგან, რომელსაც სიცივე და ყინვა გამოიწვევს ხოლმე. თითო შუშა ღირს გაგზავნით 3 მან. სიყალბის ასაცილებლად გთხოვთ, რომ ყოველს ეტიკეტზედ ნახოთ წითელის მელნით მოწერილი ა. ენგლუნდის გვარი და სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიის მარკა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, უმთავრესს საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზე, 38.
5—3



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის
**არყის ხის ბალზამი დ-რის ლენგილისა.**
ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად-ერთ აგენტის გასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19. Ваатурихъ
ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.
გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.
ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.
ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრივნაკთან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.
(19—16)

სკოლა-პანსიონი და საყმაწვილო ბაღი
ს. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა
მიიბარებს ყმაწვილებს პანსიონში სრულისა და ნახევარის ხარჯით და აგრეთვე შეგირდებსაც ივანს სასწავლებლად. ორივე სქესის ბავშვებს ამზადებს გიმნაზიებისათვის და ყოველ გვარ სასწავლებლისათვის.
ადრესი: სოლოლაკი, ფრეილინის ქუჩა, სახ. № 4.
(3—2)


Доз. ценз Тифлисъ, 8-го Августа 1890 г. Типо-Литографія Ѳ. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Меликов. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე